



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის



MES 8 21 0000805818



19/08/2021

ბრძანება

ქ. თელავი

**2021-2022 სასწავლო წლისათვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
სასწავლო გრაფიკის განსაზღვრის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, თესაუ-ს ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოს დებულებების, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 18 აგვისტოს №11 დადგენილებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შალვა ჭკადუას სამსახურებრივი ბარათის (13.08.2021 წ. N792658) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2021-2022 სასწავლო წელი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაიწყოს 2021 წლის 04 ოქტომბერს და დასრულდეს 2022 წლის 15 ივლისს

**სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის სემესტრების ხანგრძლივობა
განისაზღვროს შემდეგი სახით:**

- ა. I სემესტრი დაიწყოს 2021 წლის 4 ოქტომბერს და დასრულდეს 2022 წლის 14 თებერვალს;
- ბ. II სემესტრი დაიწყოს 2022 წლის 28 თებერვალს და დასრულდეს 2022 წლის 15 ივლისს;

სესიები ჩატარდეს შემდეგი გრაფიკით:

- ა. ზამთრის სესიები დაიწყოს 2022 წლის 17 იანვარს და დასრულდეს 2022 წლის 30 იანვარს;
- ბ. დამატებითი საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2022 წლის 28 იანვრიდან 2022 წლის 10 თებერვლის ჩათვლით;
- გ. ზაფხულის სესიები დაიწყოს 2022 წლის 13 ივნისიდან და დასრულდეს 2022 წლის 26 ივნისს;
- დ. დამატებითი საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2022 წლის 24 ივნისიდან 2022 წლის 07 ივლისის ჩათვლით;

არდადეგების ხანგრძლივობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

- ა. ზამთრის არდადეგები დაიწყოს 2022 წლის 15 თებერვლიდან და დასრულდეს 2022 წლის 27 თებერვალს;
- 2. ლექციის ხანგრძლივობა განისაზღვროს 50 წუთით, შესვენება 10 წუთით;
- 3. 2021-2022 სასწავლო წელი დასრულდეს 2022 წლის 15 ივლისს;
- 4. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ. ბუჟანიშვილი) ბრძანების გადაგზავნა სამსახურებისათვის და ფაკულტეტებისათვის;
- 5. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
- 6. წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს რექტორის მოადგილეს (ა. მოსიაშვილს);
- 7. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურს;
- 8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
- 9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

სსიპ –იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ირმა შიოშვილი

